ეროვნული ბიბლიოთეკა
585/1981/2 №11

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

82

№ 11 (491) ოქტომბერი 1981 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

244. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 342-ე, 345-ე და 388-ე მუხლებსა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე და 341-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

245. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

246. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

247. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. უბირიას საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

248. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

249. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. [illegible] სერგიას მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

250. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

251. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

252 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

253. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

254. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

255. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. გ. ტურიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

256. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

257. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

258. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ვ. თენეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

259. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამხ. გ. ს. მამაცაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

260. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

261. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. ღოღობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

262. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ე. ჭედიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

263. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოვეტს-კაია აბხაზიას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

264. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალციხის შ. რუს-თაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოების შესახებ.

265. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

266. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

267. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამხ. ს. ვ. ბელიავ-სკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

268. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ვ. გორგოძის საქართველოს სსრ პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

269. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

270. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. სვანი-ძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

271. ბრძანებულება საქართველს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

272. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. არხიპო-ვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

273. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

274. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფოთის საქალაქო გაზეთ „ახალი კოლხეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

275. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. ბერაი-ას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

276. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ტიკარა-ძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

277. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ვ. [illegible]ვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

278. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გურჯაანის რაიონული გაზეთის „ლენინის გზით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

279. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ზ. გაბრუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

280. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლანჩხუთის რაიონული გაზეთის „კომუნისტური შრომით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

281. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ ვ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**244** **საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 342-ე, 345-ე და 388-ე მუხლებსა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე და 341-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 342-ე, 345-ე და 388-ე მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 342-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განაჩენის გამომტანი სასამართლო ნიშნავს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის თარიღს იმ ანგარიშით, რომ საქმე განხილულ იქნეს არა უადრეს ათი დღისა და არა უგვიანეს ოცი დღისა საქმის საკასაციო ინსტანციაში შემოსვლის დღიდან“.

2. 345-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ საქმე განსაკუთრებით რთულია, ან სხვა გამონაკლის შემთხვევაში, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა, მაგრამ არა უმეტეს თხუთმეტი დღისა. ამ შემთხვევაში პროცესის მონაწილეებს წინასწარ უნდა შეატყობინონ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის დანიშნული დღის შესახებ“.

3. 388-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზედამხედველობის წესით პროტესტის საფუძველზე საქმე განიხილება საზედამხედველო ინსტანციის მიერ სამსჯავრო სხდომაზე არა უგვიანეს ოცი დღისა, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში — არაუგვიანეს ერთი თვისა პროტესტით საქმის შემოსვლის დღიდან“.

II. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე და 341-ე მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 298-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 298.** საქმის განხილვის ვადები საკასაციო ინსტანციის სასამართლოში

აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ, აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ, თბილისის საქალაქო სასამართლომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლომ საკასაციო საჩივრის ან პროტესტის გამო შემოსული საქმე უნდა განიხილონ მისი შემოსვლიდან არა უგვიანეს ათი დღისა. თუ საქმე განსაკუთრებით რთულია ან სხვა გამონაკლის შემთხვევაში შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა, მაგრამ არა უმეტეს ათი დღისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ საკასაციო საჩივრის ან პროტესტის გამო შემოსული საქმე უნდა განიხილოს არა უგვიანეს ერთი თვისა მისი შემოსვლის დღიდან. გამონაკლის შემთხვევებში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეებს შეუძლიათ გააგრძელონ ეს ვადა, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში საქმეში მონაწილე პირებს წინასწარ უნდა შეატყობინონ საქმის განხილვისათვის დანიშნული დღის შესახებ.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვამდე არა უგვიანეს ორი დღე-ღამისა უნდა გამოიკრას განცხადება საქმის განხილვის დროის შესახებ".

2. 341-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზედამხედველობის წესით პროტესტის გამო საქმე განიხილება საზედამხედველო ინსტანციის მიერ სასამართლო სხდომაზე არა უგვიანეს ოცი დღისა, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში — არა უგვიანეს ერთი თვისა პროტესტით საქმის შემოსვლის დღიდან".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 6 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 245 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1981 წლის 25 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 27 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 246 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

„სსრ კავშირის ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 29 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**.

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 28 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 247 ამხ. ა. ე. უბირიას საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე ევგენის ძე უბირია საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 28 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 248 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ჩატარდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნები 1982 წლის აპრილ-ივნისში.

2. გაგრძელდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილება სახალხო მსაჯულთა ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 ოქტომბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 249 ამხ. გ. ლ. სერგიას მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ავტობუსის მძღოლი გაგალი ლადის ძე **სერგია** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** (სიკვდილშემდგომ).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 250 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სისტემის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**

**ბებიაშვილს** ნოდარ ვლადიმერის ძეს — თბილისის კლავიშიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკის დირექტორს.

**გიორგობიანს** გიორგი აქვსენტის ძეს — სამინისტროს საწარმოო სამმართველოს უფროსს.

**ფარცხალაძეს** ჯონდო რაფიელის ძეს — თბილისის არასტანდარტული მოწყობილობისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის სპეციალიზებული საცდელ-ექსპერიმენტული ქარხნის ინჟინერ-მექანიკოსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"**

**გელაშვილს** ნორა დავითის ასულს — სამინისტროს მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"**

**უსტაბაშიძის** დიმიტრა გიორგის ასულს — აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური განყოფილების უფროსს.

**„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"**

**უთრუგაშვილს** დიანოზ ილიას ძეს — თბილისის არასტანდარტული მოწყობილობისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის სპეციალიზებული საცდელ-ექსპერიმენტული ქარხნის ელექტროშემდუღებელს.

**ფოლადაშვილს** ანზორ გიორგის ძეს — თბილისის № 1 მექანიკური ქარხნის ზეინკალ-ამწყობს.

**ხრიპკოს** პეტრე ივანეს ძეს — თბილისის კლავიშიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკის პიანინოს საამქროს აკუსტიკოსს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 5 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 251 რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მიღწეული წარმატებებისათვის, რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**გვრიტიშვილს** იოსებ ისაკის ძეს — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების გორის ტექნიკური სკოლის უფროსს.

**ზაქარიაძეს** რევაზ არკადის ძეს — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მახარაძის ავტოსკოლის უფროსს.

**მელაძეს** დიმიტრი ფილიპეს ძეს — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სოხუმის ავტოსკოლის უფროსს.

**ფანცულაიას** გივი ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

**შევარდნაძეს** ამირან დავითის ძეს — საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის საზღვაო და რადიოტექნიკური მომზადების განყოფილების უფროსს.

**ჟურულიას** ნოდარ მიხეილის ძეს—არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ზუგდიდის ავტოსკოლის უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი"

**გელაშვილს** ალექსანდრე მაქსიმეს ძეს — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ახალციხის ტექნიკური სკოლის უფროსს.

**უსოვს** ნიკიფორე პროკოფის ძეს — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს.

„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი"

**კალაშიანს** ვასილ ამოს ძეს — საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის მძღოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი"

**ლომსაძეს** ივანე გერასიმეს ძეს — საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის საბუხჰალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და საფინანსო კონტროლის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 5 ოქტომბერი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 252 რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე"

**ბეროშვილს** ოთარ ბიქტორის ძეს — გაგრის სატყეო მეურნეობის დირექტორს.

**გიუაშვილს** მიხეილ ალექსანდრეს ძეს — ბორჯომის სატყეო მეურნეობის სატყეოს უფროსს.

**ვაწაძეს** გივი იასონის ძეს — რესპუბლიკური საწარმო „საქტყეთესლსელექციის" დირექტორს.

**კუჭავას** მაყვალა იასონის ასულს — რესპუბლიკური საწარმო „საქტყეთესლსელექციის" ინჟინერს.

**მამულაშვილს** ნოდარ ზაქარიას ძეს — მცხეთის სატყეო მეურნეობის ინჟინერს.

**მეფარიძეს** შოთა ალექსანდრეს ძეს — თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორს.

**ნადირაძეს** ჭიჭიკო თევდორეს ძეს — თბილისის ეროვნული პარკის სატყეოს უფროსს.

**სეხნიაშვილს** ტარიელ კონსტანტინეს ძეს — თელავის სატყეო მეურნეობის სატყეოს უფროსს.

**ფანჩულიძეს** არჩიბალდ კალენიკეს ძეს — კრწანისის ტყე-პარკის დირექტორს.

№ 11 ეროვნული ბიბლიოთეკა

**შეყელაძეს** შალვა კარპეზის ძეს — ლაგოდეხის სატყეო მეურნეობის სატყეოს უფროსს.

**ჭყონიას** ზურაბ ტიტოს ძეს — თიანეთის სატყეო მეურნეობის დირექტორს.

**ხიზბას** ვლადიმერ ფილიპეს ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"

**ფაჯიშვილს** გიორგი კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი"

**ინასარიძეს** პავლე ნიკოლოზის ძეს — ასპინძის სატყეო მეურნეობის მთავარ ბუხჰალტერს.

**სოზაშვილს** მარიამ ალექსის ასულს — თელავის სატყეო მეურნეობის მთავარ ბუხჰალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 6 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 253 „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი"**:

**მაღლაკელიძეს** მარიამ გენტორის ასულს — ახალციხის შ. რუსთაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ხარატიშვილს** თამარ დიმიტრის ასულს — ახალციხის შ. რუსთაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

**ხარისჩარაშვილს** როზა იოსების ასულს — ახალციხის შ. რუსთაველის სახელობის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 254 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთ მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"

**გიორგაძეს** იულო ილიას ძეს — სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკის ინჟინერ-მექანიკოსს.

**თოდაძეს** ელიზბარ გალაქტიონის ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილწყლების" ხილის წყლების ქარხნის უფროს ოსტატს.

**ფირანიშვილს** ილია გიორგის ძეს — სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის შემფუთავი ავტომატების მემანქანეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**ავეტიკოვს** სოლომონ ტიგრანის ძეს — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დაპროექტებისა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსს.

**აკოფოვას** ვარვარა არტემის ასულს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის სექტორის უფროსს.

**აკოფოვს** ქრისტეფორე კარაპეტის ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ლუდისა და ხილის წყლების კომბინატის მთავარ მელუდეს.

**ივანიშვილს** რობერტ გიორგის ძეს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის პროექტების მთავარ არქიტექტორს.

**იმნაძეს** ბენედიქტე ვასილის ძეს — სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" განყოფილების უფროს ინჟინერს, მთავარ მექანიკოსს.

**ქაქუტიას** ვლადიმერ მელიტონის ძეს — სამრეწველო გაერთიენება „საქართველოს ჩაის" ზუგდიდის საწარმოო გაერთიანების მთავარ ენერგეტიკოსს.

**კაჭარავას** გიორგი ვასილის ძეს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ამიერკავკასიის გასაშვებ-გასაწყობი სპეციალიზებული სამმართველოს უფროსს.

**მანაგაძეს** ვალერიან თეოფანეს ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყლების" უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავას ქარხნის უფროს ინჟინერ-მექანიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რიჟამაძეს** ქეთევან ვასილის ასულს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტყიბულის პურკომბინატის მთავარ ინჟინერს.

**რუდინს** ისაak ბენციონის ძეს — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მოწყობილობის, მთავარი მექანიკოსისა და ენერგეტიკოსის განყოფილების მთავარ მექანიკოსს.

**სეფიაშვილს** შოთა სიმონის ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის ლუდისა და ხილის წყლების კომბინატის ბურახის საამქროს ინჟინერ-ტექნოლოგს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი“**

**ცომაიას** გრიგოლ პეტრეს ძეს — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრის დირექტორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

**გოგოლაძეს** გულნარა ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თბილპურის“ № 7 პურის ქარხნის უფროს ეკონომისტს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი“**

**ხაბეიშვილს** გენადი ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვის“ მთავარ ბუხჰალტერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 20 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 255 ამხ. ჯ. გ. ტურიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხორცის მრეწველობის საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის კომპლექსური საპროექტო განყოფილების უფროსს ამხ. ჯონი გაბრიელის ძე **ტურიაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 20 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 256 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, მეცნიერების განვითარებასა და ახალი ტექნიკის შექმნაში დამსახურებისათვის სოხუმის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელობის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე"

**დემირხანოვს** რაჩია არამის ძეს — სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**აბას-ოღლის** აია რიზოს ძეს — სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ჯგუფის ხელმძღვანელს.

**გვაზავას** ჯემალ ერასტის ძეს — სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

**კუჭუხიძეს** ანდრია ალექსანდრეს ძეს — საინჟინრო განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელს.

**ჟივოტოვსკის** იგორ ივანეს ძეს — საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 22 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 257 შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის 100 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"

**გიგოშვილს** იზა შალვას ასულს — მსახიობს.

**თალაკვაძეს** გრიგოლ ანდრიას ძეს — მსახიობს.

**კავსაძეს** კახი დავითის ძეს — მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლოლაშვილს** ქანრი გიორგის ძეს — მსახიობს.
**ფაჩუაშვილს** ნანა ლევანის ასულს — მსახიობს.
**ჩხეიძეს** თეიმურაზ ნოდარის ძეს — რეჟისორს.
**ძიგრაშვილს** ლეილა ამბერკის ასულს — მსახიობს

**„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“**

**ოგანეზოვს** ლევან ირაკლის ძეს — დირიჟორს.
**ფოფხაძეს** ლილი შალვას ასულს — სალიტერატურო ნაწილის გამგეს.
**ჭილაძეს** ნესტორ ეზეკის ძეს — დირექტორ-განმკარგულებელს.
**ხატისკაცს** ნანა გიორგის ასულს — რეჟისორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“**

**ალექსი-მესხიშვილს** გიორგი ვლადიმერის ძეს — მხატვარს.
**ლაფაჩს** გიორგი შალვას ძეს — სადადგმო ნაწილის გამგეს.
**ჭავჭავაძეს** მიხეილ დავითის ძეს — მხატვარს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“**

**ბოცვაძეს** ზეინაბ ჯაიდარის ასულს — მსახიობს.
**გუდაძეს** ლიანა ილიას ასულს — მსახიობს.
**დოლიძეს** თამარ ნარიმანის ასულს — მსახიობს.
**ელოშვილს** ვალერიან კონსტანტინეს ძეს — მსახიობს.
**ზაუტაშვილს** ოთარ გიორგის ძეს — მსახიობს.
**ლომიძეს** ოთარ გიორგის ძეს — მსახიობს.
**მარგველაშვილს** ნოდარ ილიას ძეს — მსახიობს.
**მაღლაკელიძეს** მზია ბენედიქტეს ასულს — მსახიობს.
**მაცაბერიძეს** დეზდემონა შალვას ასულს — მსახიობს.
**მიქაბერიძეს** რუსლან გრიგოლის ძეს — მსახიობს.
**პაპუაშვილს** დავით გრიგოლის ძეს — მსახიობს.
**სახლთხუციშვილს** ელდარ გერასიმეს ძეს — მსახიობს.
**სიუმაშვილს** ლეილა გიორგის ასულს — პიანისტს.
**ყველაიძეს** ტრისტან ილიას ძეს — მსახიობს.
**ჩხაიძეს** რევაზ კალისტრატეს ძეს — მსახიობს.
**ჩხიკვაძეს** დავით პანტელეიმონის ძეს — მსახიობს.
**ჭიჭინაძეს** გივი ლევანის ძეს — მსახიობს.
**ჯანაშიას** მარიამ ივანეს ასულს — მსახიობს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

**აგაშენაშვილს** ვლადიმერ ფიდოს ძეს — ბუტაფორ-დეკორატორს.
**თვაურს** მიხეილ თომას ძეს — სცენის მემანქანეს.
**კალანდიას** კარლო გერასიმეს ძეს — მთავარ ადმინისტრატორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მამულაშვილს** გიორგი ვასილის ძეს — გამნათებელს.

**სიმონოვს** იური ქრისტეფორეს ძეს — ბუტაფორ-დეკორატორს.

**ურდულაშვილს** ილია დავითის ძეს — სცენის მემანქანეს.

**ქურხულს** ივანე ვასილის ძეს — ფოტოგრაფს.

**შერმაზანოვს** გიორგი სტეფანეს ძეს — სცენის მთავარ მემანქანეს.

**ჩადუნელს** კონსტანტინე თევდორეს ძეს — ორკესტრის ყოფილ მსახიობს.

